

№3- 151

20.02.2018

სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსის მ.შ.  
ბატონ გიორგი იაკობაშვილს

ბატონო გიორგი,

ჯერ კიდევ 2018 წლის 8 იანვრის წერილით გთხოვთ მოგეწოდებინათ სააგენტოს მიერ 2017 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული კონტროლის შედეგები. სამწუხაროდ, განმეორებითი წერილის მიუხედავად, ჩვენს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია სრულად მაინც არ მოგვეწოდა/გამოქვეყნდა (სეს-ის პასუხი N 09/1226). კერძოდ, გამოქვეყნებულია, მხოლოდ ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების კონტროლის შედეგები, იმ პროდუქტების მითითებით, რომელთა შემოწმებისას დარღვევები დაფიქსირდა. ხოლო ამ დარღვევების აღმოჩენის შედეგად, სააგენტოს მიერ გატარებული ზომებიდან მხოლოდ ჯარიმებია მითითებული. საერთოდ არ გამოქვეყნებულა ინფორმაცია სურსათის მონიტორინგის შედეგების თაობაზე.

აქედან გამომდინარე, იძულებული ვართ უკვე მესამედ მოგწეროთ და გთხოვთ სრულად მოგვაწოდოთ სააგენტოს მიერ 2017 წლის სექტემბერ-დეკემბრის პერიოდში განხორციელებული კონტროლის ჩვენს მითითებული შედეგები, კერძოდ:

- თქვენს მიერ შემოწმებული ბიზნესოპერატორების სიებს, რომლებიც სეს-ის ვებსაიტზეა გამოქვეყნებული დაამატეთ ინფორმაცია იმის თაობაზე, გამოვლინდა, თუ არა დარღვევა თითოეული ბიზნესოპერატორის შემოწმებისას, რა სახის დარღვევა გამოვლინდა და რა ზომებს მიმართა სეს-მა ამ დარღვევის დაფიქსირების შემდეგ.
- მოგვაწოდეთ სურსათის მონიტორინგის შედეგები, რომლებიც შემდეგ მონაცემებს მოიცავს:
  - შემოწმებული სურსათის, სახელწოდება, მწარმოებლის სახელწოდება და მისამართი;
  - ნიმუშის აღებისა და, შესაბამის შემთხვევაში, ლაბორატორიული დასკვნის თარიღი;
  - კონტროლის შედეგი -- დაფიქსირდა, თუ არა დარღვევა; რა დარღვევა დაფიქსირდა.
  - დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ რა ზომები იქნა გატარებული (ჯარიმა, პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღკვეთა, ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის ამოღება, პროდუქტის შესახებ მომხმარებლის



მომხმარებელი.გე

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



გაფრთხილება, პროდუქტის მომხმარებლისაგან გამოთხოვა და მისი დაბინძურების წყაროების დადგენა).

- ვეტერინარული პრეპარატების, აგროქიმიკატებისა და პესტიციდების კონტროლის შედეგებს, რომლებიც სეს-ის ვებსაიტზეა გამოქვეყნებული, გთხოვთ დაუმატოთ ინფორმაცია, ჯარიმის გარდა ყველა იმ ზომის შესახებ, რომლებსაც სეს-მა დარღვევების გამოვლენის შემთხვევაში მიმართა (პროდუქტის ბაზარზე განთავსების აღკვეთა, ბაზარზე უკვე განთავსებული პროდუქტის ამოღება, პროდუქტის შესახებ მომხმარებლის გაფრთხილება, პროდუქტის მომხმარებლისაგან გამოთხოვა და მისი დაბინძურების წყაროების დადგენა).

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ Microsoft Excel-ის ფორმატში, ელექტრონული ფოსტის მისამართზე [vakhtang@csrdg.ge](mailto:vakhtang@csrdg.ge).

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე  
პროგრამის კოორდინატორი